

**საბჭოთა ეპოქის დეკონსტრუქცია
მხატვრულ ტექსტში
(დათო ტურაშვილი, გურამ ქართველიშვილი)
DECONSTRUCTION
OF THE SOVIET ERA IN FICTION
(DATO TURASHVILI, GURAM KARTVELISHVILI)**

ნესტან კუტივაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

Nestan Kutivadze

Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

ABSTRACT

In the last decade of the 20th century, fiction having become free from ideological pressure as a result of well-known historical events was given the opportunity to interpret the public situation undisguisedly, free of subtexts. In the post-Soviet era, it was relevant and important to represent the deconstruction of the Soviet reality and the post-colonial trauma, so that the society could go through a painful stage of self-identification necessary for its further development. Literature was supposed to influence the consciousness of a man of the Soviet era and contribute to an already painful and difficult process of re-evaluation of values. It is quite normal that the reflection on the tragic events of the Soviet period is one of the prominent trends of modern Georgian literature, as well as the personal drama caused by the failure of the Soviet ideology, which is directly related to the peculiarities of the perception and acceptance/non-acceptance of the new reality created in the post-colonial era.

Many remarkable works have been created on this topic by authors of different generations and styles of writing which reflect on many aspects of the recent past. This paper analyzes two short stories: *Where Do Pigeons Build Their Nests* by Dato Turashvili and *Caucasian Pitomnik (Nursery)* by Guram Kartvelishvili.

The reviewed texts clearly show that both writers participate in the process of deconstruction of the Soviet era. They use different artistic methods to create the thinking space for the reader to deeply imagine the peripeties of Soviet life, the fate of individuals in a totalitarian, violent society, and to be able to correctly perceive and reflect on the even more difficult reality resulting from the inevitable collapse of this society, which should logically lead to the understanding of the necessity of action.

საკვანძო სიტყვები: ქართული ლიტერატურა, პოსტ-კოლონიური ეპოქა, დათო ტურაშვილი, გურამ ქართველიშვილი

Keywords: Georgian literature, Post-colonial era, Dato Turashvili, Guram Kartvelishvili.

XX საუკუნის ბოლო ათწლეულში განვითარებული ისტორიული მოვლენების შედეგად იდეოლოგიური ზეწოლისაგან გათავისუფლებულ მხატვრულ ლიტერატურას საზოგადოებრივი ვითარების შეუნიღბავი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა მიეცა. პოსტსაბჭოთა ეპოქაში საბჭოთა რეალობის დეკონსტრუქციისა და პოსტკოლონიური ტრავმის რეპრეზენტაცია აქტუალური და მნიშვნელოვანი იყო, რომ საზოგადოებას მტკივნეული, თუმცა შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელი თვითიდენტიფიკაციის გზა გაეწყო. მწერლობას გავლენა უნდა მოეხდინა საბჭოთა ეპოქის ადამიანის ცნობიერებაზე და ხელი შეეწყო ღირებულებათა გადაფასების ისედაც ძალიან მტკივნეული და რთული პროცესისათვის. სავსებით კანონზომიერია, რომ საბჭოთა პერიოდის ტრაგიკული მოვლენების რეფლექსია თანამედროვე ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი გამოკვეთილი ტენდენციაა ისევე, როგორც საბჭოთა იდეოლოგიის მარცხის შედეგად გამოწვეული პიროვნული დრამა, რომელიც პირდაპირ უკავშირდება პოსტკოლონიურ ეპოქაში შექმნილი ახალი რეალობის აღქმისა და მიღება-არმიღების თავისებურებებს.

1990-იანი წლები თვისებრივად განსხვავებული რეალობით გამოირჩეოდა იმითაც, რომ საბჭოთა ეპოქაში მცხოვრებ და ამ ეპოქასთან ემოციურ-ინტელექტუალურად დაკავშირებულ ადამიანებს თავად უნდა გადაეფასებინათ, დაენგრიათ ჯერ კიდევ სიცოცხლისუნარიანი კოლონიური სტერეოტიპები და მითები, დაემსხვრიათ საბჭოთა ფასეულობათა სისტემა, ეპოვათ ჭეშმარიტი იდენტობა, ერთად დაესრულებინათ საბჭოთა ეპოქა და დაემკვიდრებინათ ფასეულობათა ახალი პარადიგმა. რა თქმა უნდა, ეს მტკივნეული მენტალური პროცესი იყო, რომელიც თაობათა დაპირისპირებით, ახალი მითების გაჩენით, საკუთარი ფუნქციის ძიებითა და იმედგაცრუებითაც საკმაოდ ძლიერადაა აღბეჭდილი. მით უფრო, რომ ეს პროცესი გაცილებით ხანგრძლივი აღმოჩნდა, ვიდრე ეს დასაწყისში ჩანდა, რასაც მაშინდელი საზოგადოების ამგვარი მოვლენების მიმართ ინფანტილური დამოკიდებულება საკმაოდ აღრმავებდა, შესაბამისად, ახალი სოციოკულტურული რეალობის ტენდენციები საკმაოდ ნელა და რთულად ვლინდებოდა.

განსხვავებული ხელწერისა და სხვადასხვა თაობის ავტორთა მხატვრულ თხზულებებში ინტერპრეტირდა არა მხოლოდ XX საუკუნის 90-იანი წლების საზოგადოებრივი ვითარება, სოციუმი თავისი ურთულესი ეკონომიკური და ფსიქიკურ-ემოციური მდგომარეობით, არამედ საბჭოთა ეპოქის არაერთი ისტორიული ფაქტი, ხდომილება თუ ყოფითი სურათი, რომელიც ახლებურად გააზრებას, სხვა ხედვით განსჯას საჭიროებდა, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო იმ ვითარებაში, როდესაც ჯერ კიდევ ღრმად იყო საზოგადოება დაკავშირებული საბჭოთა ეპოქასთან. დამოუკიდებლობის მოპოვებით დასრულებელი ეროვნული მოძრაობა, ზოგადად, პატრიოტული აღმაფრენა, ასევე, აღბეჭდილი აღმოჩნდა არასწორი მოლოდინით, რაც სწრაფად, შედარებით იოლად დამდგარ უკეთეს ცხოვრებას უკავშირდებოდა. არასწორმა მოლოდინმა,

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომმა სირთულეებმა, სამოქალაქო ომმა, ეთნიკურმა კონფლიქტებმა და ყოველივე ამით გამოწვეულმა დეპრესიამ, ბუნებრივია, განაპირობა იმედგაცრუება და მტკივნეული პოსტკოლონიური ტრავმა. მძიმე ეკონომიკური და სულიერი/მენტალური პრობლემები ეხებოდა საზოგადოების ყველა ფენას, თოთოეულ წევრს და მოიცავდა როგორც ჩვეულებრივი ადამიანის ყოველდღიურ ბრძოლას გადარჩენისათვის, ისე ღირებულებათა გადაფასებას.

სხვადასხვა თაობისა და ხელწერის მქონე ავტორთა მიერ ამ თემაზე შექმნილია მრავალი საყურადღებო ნაწარმოები, რომლებშიც განსახოვნებულია უახლოესი წარსულის არაერთი ასპექტი. ამ თვალსაზრისით შეიძლება გამოიყოს: გურამ ქართველიშვილის „კავკასიური პიტომნიკი“ და დათო ტურაშვილის „სად იკეთებენ მტრედები ბუდეს“. სხვადასხვა ესთეტიკით შესრულებული ორივე ტექსტი კარგად აჩვენებს საბჭოთა აზროვნების დევალვაციას, რითაც თავისი წვლილი შეაქვს საბჭოთა სტერეოტიპებისაგან გათავისუფლებასა და ამ ეპოქის მითების დამსხვრევაში.

გურამ ქართველიშვილი საყურადღებო თანამედროვე მწერალია, რომლის თითქმის ყველა თხზულებაში აქცენტირებულია საბჭოთა საზოგადოების კრიზისი, ინტერპრეტირებულია არაერთი ყალბი შეხედულება, არასამართლებრივი და მორალურად მყიფე, უმეტესად კი ამორალური ხდომილებები, ნაჩვენებია ცრუ ფასეულობებით დამახინჯებული თაობების უშინაარსო ყოფა.

ამგვარი კონცეპტუალური ველი განსაზღვრავს ქართველიშვილის მოთხრობის „კავკასიური პიტომნიკი“ მხატვრულ სახეთა სისტემას. ტექსტში საბჭოთა ქვეყნის ჯარში შექმნილი ვითარება და საბჭოთა სამხედრო მოსამსახურეების მრავლისმეტყველი სურათი იხატება. როგორც მწერალი აღნიშნავს, საბჭოთა გამოვლინებები არც „ვოსემდესიატერვიში“ იყო გამქრალი და საკმაოდ მყარად არსებობდა, რაც გამოიხატება ე. წ. ძედოვშიჩინაში, ჩხუბსა, აყალმაყალსა და მექრთამეობაში. ამ თვისებების მქონე საზოგადოებას არ შეუძლია განვითარება, ის, ფაქტობრივად, თვითგანადგურებისათვის არის განწირული.

მწერალმა ტექსტში წამოჭრა უაღრესად მნიშვნელოვანი კულტურულ-მენტალური პრობლემა, რომელიც ზოგადად ღირებულებათა და ცხოვრების წესის დიამეტრალურ აცდენაში ვლინდება, რაც ქართული ყოფისათვის საკმაოდ დამახასიათებელ მარკერად იკვეთება. ამ საბედისწერო დამორებას არა მხოლოდ გრძნობს, არამედ ეწინააღმდეგება მთავარი გმირი – თემო – ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი და გავლენიანი მამის შვილი, რომელიც თვლის, რომ რეალური ყოფისაგან ცალკე არ არსებობს ხელოვნებაში კულტივირებული თუ საზოგადო მოღვაწეთა მიერ საჯაროდ გაცხადებული იდეალები. გაბედული და შეურიგებელი ხასიათი გმირს თითქმის მუდმივ კონფლიქტში ამყოფებს გაბოროტებულ და ძალმომრეობით სავსე საზოგადოებასთან. ამ უკანასკნელის ერთ-ერთი რადიკალური გამოხატულება საბჭოთა ჯარია, სადაც „ბლატნოები“ და „ძედუშკები“ აწესებენ ქცევის ნორმებს,

რომ თავიანთი სამართალი გაავრცელონ. ყველაზე გადაგვარებული საზოგადოების ნაწილია გავლენიანი მამაც, რომელიც ცდილობს შვილის კონფლიქტი თბილისიდან მოაგვაროს. თავად ამ კონფლიქტის არსი ერთდროულად კარგად ასახავს საბჭოთა ჯარის, საბჭოთა ტოტალიტარიზმის დეგრადირებულ, ზნედაცემულ ბუნებას, რისი დადასტურებაცაა შეწერილი თანხის გადახდაზე უარის თქმის გამო დაღესტნის ცეკას მდივნის შვილის ცემა თავისი შემდგომი წინააღმდეგობებით. მრავლისმთქმელია ის ეპიზოდიც, რომელშიც სასჯელი განისაზღვრება არა სამხედრო ნაწილის უფროსის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით, არამედ პარტიული ნომენკლატურის, ცეკას მდივნის შურისძიების ხარისხის შესაბამისად. ეს ეპიზოდი ნიშანდობლივია „ძველ დროზე“ საკმაოდ გავრცელებული, სტერეოტიპული რეფლექსით, რაც გამოიხატება „იოლი ცხოვრების“ მიმართ ნოსტალგიით. გროტესკულ ხასიათს იძენს წუხილი იოლი, კარგი ცხოვრების დასრულების გამო, რადგან ის პრობლემის 10 მანეთად მოგვარებას გულისხმობს, რაც კიდევ უფრო დრამატულსა და დამანგრეველი შედეგების მომტანს ხდის ისედაც დეგრადირებულ გარემოს.

მწერალმა საბჭოთა ტოტალიტარული ეპოქის სავალდებულო სამხედრო სამსახურის არსი გააშიშვლა ამ ტექსტში, შეუნიღბავად აჩვენა არა მაღალ მოქალაქეობრივ შეგნებასთან დაკავშირებული ინსტიტუტი, არამედ ახალგაზრდა ადამიანის მკვლელად გადაგვარების შესაძლებლობის მქონე ძალადობრივი უწყება.

მოთხრობის გმირი აზერბაიჯანში, ჯულფის სამხედრო ნაწილში, ხვდება. სწორედ ამ ნაწილის არაფორმალური სახელწოდებაა „კავკასიის პიტომნიკი“, სადაც დაუმორჩილებელ კავკასიელებს ამწესებდნენ, რომ შემდეგ ავღანეთში გაეშვათ. „როდემდე უნდა მიგვერეკებოდნენ რუსები სხვის ომებში ვერბოვებით, ლაგერებით და ათასობით ტისკებით?! ვფიქრობდი, შვილებს მაინც აცდებოდათ ამათი ჯოჯოხეთი-მეთქი და ამათმა სულ შეუბერეს, იმას არ ეკითხებიან, არა, ოჯახს უნდა მერე მაგათგან გამოზრდილი სახლში მობრუნებული მკვლელები?!“ (ქართველიშვილი 2011: 81), – წუხს მამა, რომელსაც იმედი აქვს, რომ ექვს თვეში შვილის უკან დაბრუნებას შეძლებს, რადგან საბჭოთა კავშირი ინგრევა. ამაზე მკაფიოდ მნელაა, ალბათ, საბჭოთა ეპოქის დეჰუმანიზებული სამხედრო არმიის ჩვენება, შეუფერადებლადაა განსახოვნებული ფასეულობებმორღვეული საზოგადოების გარკვეული შტრიხებიც.

ტექსტის მიხედვით, სწორედ ჟულფას სამხედრო ნაწილში განვითარებული მოვლენები აჩვენებს, როგორ განსხვავდებიან მენტალურად ერთმანეთისაგან 1990-იანების მამები და შვილები. „ადამიანი ეძებო, ასე ზრდიდა მამა, – ცხრა მთას იქით, რომ კარგი კაცია, იცოდე, ისიც შენი მეგობარიაო“ (ქართველიშვილი 2011: 87), – ამგვარ დარიგებას აძლევს ახალმისულ თემოს თხზულების მეორე გმირი – დათო ბიძია, იმერელი აზნაური, ფიცისკაცების შორეული შთამომავალი, როგორც გვაცნობს მწერალი. თემოსა და დათო ბიძიას დიალოგებში ჯარში შექმნილი არაადამიანური, ველური ვითარების კიდევ უფრო მეტი დეტალი

იკვეთება, რითაც, ფაქტობრივად, გასაგები ხდება, რატომ შეიძლება ჯარში წასული ჩვეულებრივი, კეთილი ბიჭი მკვლელად იქცეს და სახლში გაბოროტებულ ადამიანად დაბრუნდეს, თუ მას მტკიცე ხასიათი არ აღმოაჩნდება. იქ, სადაც ძალიან ბევრი ნარკოტიკია, დათო ბიძიას თქმით, თუ სიმტკიცეს არ გამოიჩენ, შესაძლებელია მხოლოდ ამის გამო იქვე არასრულფასოვან ადამიანად. ამ ვითარებას კიდევ უფრო დრამატულს ხდის ძლიერის გამოსავლენად გამართული არაფორმალური ორთაბრძოლები. თემოს იმერელი დათო ურჩევს დაიგვიანოს და ამისათვის ნაოხაში აღმოჩნდეს, ვიდრე „კამეჩივით ჯანზე მყოფ“ ჩერქეზს შეებრძოლოს. ამ დაპირისპირებაში გამარჯვებას, რა თქმა უნდა, თავისი ჯილდო მოჰყვება, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამარჯვებულის და უძლიერესის სახელია, თუმცა „პიტომნიკის კაციჭამიების ბელადის“ წოდების მოპოვება თავისთავად შეიცავს საფრთხეს იმისას, რომ ახლად გამარჯვებული ბელადიც თანდათან კაციჭამიად, უგულო, სასტიკ არსებად ტრანსფორმირდება.

მნიშვნელოვანია, რომ გამარჯვებული თემო თავადაც მოძალადე კი არ ხდება, არამედ ჩერქეზ მეტოქესთან ერთად ცდილობს ვითარება შეცვალოს, ძალადობის ნაცვლად ღირსების განცდა გააჩინოს ჯარისკაცებში: „ძალადობა მოესპოთ და ღირსებას ეხარა“, – როგორც მწერალი ამბობს (ქართველიშვილი 2011: 91). ეს დაპირისპირება არა მხოლოდ მოძალადისა და უშიშარი, ღირსების მქონე პიროვნების წინააღმდეგობაა, არამედ მთავარი გმირის მორალური არჩევანიცაა, მით უფრო, რომ ცხოვრების წესისა და ღირებულებათა აცდენის მიმართ მისი დამოკიდებულება რადიკალური და იმთავითვე განსაზღვრულია, როგორც მიუღებელი და საბოლოოდ საზოგადოების დამაქვეითებელი ფაქტორი.

შემთხვევითი არაა, რომ ექვსი თვის შემდეგ თემო უარს ამბობს დაბრუნებაზე, რადგან მიაჩნია, რომ მისი ცხოვრების წესი უნდა შეესაბამებოდეს ფასეულობებს, რომლებითაც იზრდებოდა; თვლის, რომ მართალი უნდა იყოს, არ უნდა მიატოვოს მეგობარი, რომელმაც „ჯოჯოხეთი“ გადაატანინა. მართალია, მამა შვილის ასეთ შეხედულებებს დონკიხოტობად მიიჩნევს, მაგრამ საბოლოოდ მაინც იძულებულია „შვილში ჩადებულ თავისივე ლოგიკას“ დამორჩილდეს. „ღირსება, რა თქმა უნდა, უპირველესია, მამა, მაგრამ სხვისმა ომმა ღირსება არ იცის, იცოდე“, – ესაა მამის ბოლო სიტყვა (ქართველიშვილი 2011: 94), რომელშიც შეცვლილი ისტორიული რეალობა და „საქმის მოგვარების“ საბჭოთა პრაქტიკა ირეკლება. მამა შვილის გადარჩენას მშობლის ინსტინქტით ცდილობს და ანგარიშს არ უწევს იმ ფაქტს, რომ თემო ამ შემთხვევაში უპირატესობას სამართლიანობას, მორალურ პრინციპებს ანიჭებს და იმ ადამიანებთან პირნათელ ურთიერთობას ამჯობინებს, ვინც მის გვერდით იდგა ძნელბედობის ჟამს. ის უარს ამბობს გავლენიანი ჩინოვნიკის მეშვეობით საქმის მოგვარებაზე და ნაწილში რჩება, მიუხედავად იმისა, რომ იცის, წასვლა მოუწევს ავღანეთში, საიდანაც შეიძლება ცოცხალი ვეღარ დაბრუნდეს.

ტექსტში მწერალმა ოსტატურად განასახოვნა იმ ეპოქის მოჩვენებითობა, სასტიკი და დაუნდობელი ბუნება. მთავარი გმირის უმძიმესი სულიერი მდგომარეობა, რომელიც მეგობრის დაღუპვითაა გამოწვეული, ერთი მხრივ, მტკივნეული ადამიანური დრამაა, მეორე მხრივ კი, გეოპოლიტიკურ დაპირისპირებაში ჩართული სახელმწიფოების მიერ საკუთარი მოქალაქეებისათვის თავსმოხვეული ტრაგედიის მხატვრული რეპრეზენტაცია. „მერე თუთიის კუბო თვითონვე რომ მოაკალვინა საგულდაგულოდ და დათოს ადგილზე სიცარიელე იგრძნო, მთლად ჩაიკეტა თავის თავში ოცი წლის ასაკში დაბერებული დედიკოს ბიჭი“ (ქართველიშვილი 2011: 95), – ასეთ შემზარავ სახეს იღებს, საბოლოოდ, ძლიერთა ამა ქვეყნისათა მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომელთა საფასური გადარჩენილებისთვისაც მძიმეა. ტრავმული მეხსიერება მთლიანად ცვლის მათს აღქმას, დამოკიდებულებას სამყაროს მიმართ. საბჭოთა კავშირის შემთხვევაში კი ამ ყოველივეს ემატებოდა დიდი სიცრუე და ფარსი. ტექსტის ბოლო ეპიზოდში აქცენტირებული დაღუპული მეგობრის ირონიული სადღეგრძელო საბჭოთა კავშირის მშვიდობიან მტრედებსა და უღრუბლო ზეცაზე სულ სხვა განზომილებას იძენს ავღანეთის ფონზე.

„კავკასიურ პიტომნიკში“ მხატვრული დამაჯერებლობით აირეკლა ყალბი „სიდიადე“ საბჭოთა არმიისა, რომელიც სინამდვილეში ძალმომრეობაზე, კორუფციაზე, უსინდისობასა და ამორალურ ქმედებაზე იდგა და მხოლოდ ბუტაფორია იყო იმისა, რასაც სახელმწიფო იდეოლოგია წარმოაჩენდა. ლოგიკურია, რომ ამ ერთ-ერთ უმთავრეს პლასტთან ერთად ტექსტში კულტივირდება ღირსების კონცეპტი, რომელიც ყველა ეპოქაში მნიშვნელოვანია. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება პრინციპების ერთგულების გამო ადამიანი დაიღუპოს და ეს მორალური ორიენტირების რღვევისას ირონიულ ელფერსაც იღებდეს, ფაქტია ისიც, რომ მხოლოდ ღირსეული ადამიანების გაბედულება არის ერთადერთი გზა ამ ფასეულობების შესანარჩუნებლად.

1990-იანი წლების ყოფის სიმძიმე აირეკლა ამ პერიოდში შექნილ თითქმის ყველა მხატვრულ ტექსტში. მაშინდელი რთული რეალობის მხატვრული რეპრეზენტირება საკმაოდ დატვირთული აღმოჩნდა როგორც გარეგნული პლასტების, ისე ფსიქოლოგიური ნიუანსების ზედმიწევნით, სკრუპულოზური ასახვით. „...ყოფიერების უმაღლეს ხარისხში აყვანით პოსტმოდერნულმა საზოგადოებამ... დაკარგა მიმართება სიღრმისეულ რეალობასთან, რომელიც ყოფიერების ნამდვილობას, მის ფასეულობას უზრუნველყოფდა. ფაქტობრივად, ამ ფორმით პოსტმოდერნული ეპოქის ხელოვანი და ინტელექტუალი კვლავ ინარჩუნებს ტრადიციულ მამხილებელ ფუნქციას, ის კვლავ ამხელს ნაკლოვანებებს“ (წიფურია 2008: 271), – აღნიშნავს ბელა წიფურია. ამ თვალსაზრისით, პოსტმოდერნისტი ავტორები მხატვრულ ლიტერატურას სოციალურ ფუნქციას სძენენ და თავიანთი ტექსტების მამხილებელი პათოსით ხელს უწყობენ მოძველებული კლიშეებისაგან გათავისუფლებას, მაშინდელი თუ შემდგომი პერიოდების რეალობის ადეკვატურად აღქმას. ამ მხრივ დათო

ტურაშვილის მრავალი ნაწარმოები იქცევს ყურადღებას, მათ შორის მოთხრობა „სად იკეთებენ მტრედები ზუდეს“. მასში საზოგადოების დეგრადაციის გროტესკული სურათია ასახული. მოკლე ოჯახური საგა კარგად აჩვენებს საბჭოთა სტერეოტიპების დევალვაციას. ამბავი პროფესორ შოთა ნამორაძის ოჯახში ხდება. ცნობილ ქართულ ფილმ „ჭრიჭინას“ მომხიბვლელი არქიტექტორი ამ ტექსტში თავად არის უნივერსიტეტის პროფესორი, დიდი ოჯახის უფროსი, რომელიც საერთოდ ვეღარ ახერხებს ახალ დროში ორიენტირებას. მწერალი გვთავაზობს საბჭოთა ფილმში სიყვარულით შექმნილი ოჯახის შემდგომ ისტორიას, მათი მემკვიდრეების ცხოვრების გზის საკუთარ ვერსიას. ტექსტის მიხედვით, ოჯახის ახალგაზრდა წევრების სიყვარული აღარ არის ისეთი წრფელი და უხინჯო, როგორც ფილმის გმირებს ჰქონდათ. პიროვნული დეგრადაციის, ოჯახის სიწმინდის, მეუღლეთა შორის ერთგულების დაკარგვის უმთავრესი მიზეზი ნარკოდამოკიდებულებაა. „მონაპოვარი კი შემდეგნაირად განაწილდა: ორმხრივი ფილტვების ანთება საბჭოთა პოლიციას და ნანატრი წამალი მოლოდინისაგან აკანკალებულ, თბილისის მრავალტანჯულ მორფინისტებს...“ (ტურაშვილი 2011: 268), – აღნიშნავს ავტორი. ამ მართლაც ტრაგიკომიკური ეპიზოდით (ნარკოტიკული თრომბის ქვეშ მყოფ გმირებს დაავიწყდათ, რომ პოლიციელის მოტოციკლი ბაგირით თავად ჩაიბეს და ჰგონიათ, რომ პოლიცია მისდევთ). მწერალი ხაზს უსვამს, რომ 1990-იანების უმძიმესი პრობლემა საკმაოდ შორიდან მოდიოდა, თუმცა ამ პერიოდში მან განსაკუთრებით შემზარავი სახე მიიღო, სასტიკი და არაადამიანური ფორმით გამოვლინდა. მთავარი გმირის შვილიშვილის შემთხვევა აღწერს სულიერი დაცემის წარმოუდგენელ მდგომარეობას, ისეთ შემამრწუნებელ, ყოველგვარ ადამიანურობას მოკლებულ საქციელს, როგორც ძილში ბაბუასათვის ოქროს კბილის ამოღება და შემდეგ მისი ნარკოტიკში გაცვლა. ამ მძიმე სურათს კიდევ უფრო ტრაგიკულს ხდის მოხუცის სიზმარი, რომელშიც ფრონტიდან დაბრუნებული დასაჭურისებული მეომარი საკონცენტრაციო ბანაკსა და მარტინ ბორმანს (ჰიტლერის პირადი მდივანი მეორე მსოფლიო ომის პერიოდში – ნ. კ.) ხედავს, ძალით რომ აგლეჯს ოქროს კბილს. ამ კონკრეტული ისტორიის ფროიდისეული პასაჟით ტურაშვილი აქცენტს აკეთებს მეორე მსოფლიო ომის თაობის პიროვნულ დრამაზე, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში კარგად იმალებოდა ჰეროიკული პათოსით მოხეიმე თარიღებით. ზოგადად, მეორე მსოფლიო ომის თემა ერთგვარ ირონიულ ლაიტმოტივად დაჰყვება ამ ტექსტს. ამ უკანასკნელის მრავალსმთქმელი მხატვრული განსახოვნებაა ლევანის ბებიის, შოთა ნამორაძის დედის, ხაზგასმული გატაცება მრავალსერიანი საბჭოთა ფილმით „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“.

აღსანიშნავია, რომ მწერალმა კოლაჟის ხერხით აგებული ნაწარმოების ქრონოტოპით მთლიანად მოიცვა 70-წლიანი საბჭოთა ეპოქა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ოსტატურად ჩაატია გმირთა თავგადასავალში, ოჯახის ახალგაზრდა თაობის დეგრადაციაც ლოგიკურად დააკავშირა ისტორიულ მოვლენებთან, რომლებშიც ნებსით თუ უნებლიეთ

აღმოჩნდნენ ამ ოჯახის წინაპრები ჩათრეულები. „ეს სახლი ნამორაძეებმა ოცდაათიან წლებში, საზღვარგარეთ გადახვეწილი რომელიღაც განათლებული ფედერალისტისაგან შეიძინეს ძალიან იაფად. კაცს გასაქცევად ჰქონდა საქმე, ვაჭრობა არ დაუწყია. სახლი ბატონი შოთას მშობლებმა შეიძინეს. ამ საქმეში, რაღა დასამალია და, ადგილობრივმა ხელისუფლებამაც შეუწყო ხელი. ალბათ, საზოგადოების ნაწილისათვის მაინც ცნობილია, რომ შოთა ნამორაძის მამა, ბატონი ალმასხან ნამორაძე, ლენინთან ნამყოფი კაცი იყო და ბოლშევიკებმაც შეძლებისდაგვარად დაუფასეს რევოლუციისათვის სიჭაბუკეში შეწეული ამაგი“ (ტურაშვილი 2011: 258), – ამ პატარა ეპიზოდით რეალურად მთელი საუკუნის ვნებათაღელვაა გადმოცემული. ლოგიკურია, რომ, ტექსტის მიხედვით, ამ სახლში სიყვარულით სავსე გარემო არც არასდროს ყოფილა და ამიტომ ძნელად წარმოსადგენია, რომ ოდესმე აქ მტრედები გაიკეთებენ ბუდეს. ასეთი იქნება ყველაზე მარტივი, ყველაზე ლოგიკური დასკვნა, რომელიც მკითხველს შეიძლება გაუჩნდეს, როდესაც ტექსტისა და სათაურის მიმართებაზე დაფიქრდება.

საბოლოოდ ამ ყველაფერმა საუკუნის დასასრულის მძიმე დრამა-ტიზმი მოიტანა. 1990-იანი წლები არასამართლებრივი პერიოდი იყო, რაც კარგად აირეკლა ტექსტში. ზემოთ აღნიშნულის გარდა, თხზულება ეხება ლექტორსა და სტუდენტს შორის არსებულ მტკივნეულ ურთიერთობას, ასევე, ქუჩაში დახვედრისა და დაყაჩაღების საკმაოდ გავრცელებულ ფაქტს, რომელიც ადამიანს ღირსებას უღახავს და ამ საზოგადოებაში ყოფნის სურვილს უსპობს. ნაწარმოების ფინალში ცირკში ჩატარებული ფოკუსის შემდეგ შოთა ნამორაძე გაქრა. ილუზიონისტი „არ იჯერებდა ასეთ, საკუთარ წარმატებას, ხელებს შლიდა გაცეხებული და მერამდენედ უჩვენებდა მილიციის უფროსს იმ ადგილს კულისებში, საიდანაც წესით, ბატონი შოთა უნდა გამოსულიყო. მაგრამ იგი არსად იყო და არავის, არც ამ ცირკში და არც ამქვეყნად არ სჯეროდა (არც მაშინ და არც მერე), რომ შოთა ნამორაძე მართლა გაქრა“ (ტურაშვილი 2011: 285). პოსტმოდერნისტული დისკურსის ეს ფანტასტიკური ელემენტი – შოთა ნამორაძის გაქრობა – შეიძლება გააზრებულ იქნეს, როგორც სიმბოლო, თავისებური სიმულაკრაც, ინფანტილური „საბჭოთა ინტელიგენციისა“, რომელიც საკმაოდ უსუსური და დაუცველი აღმოჩნდა, ერთი მხრივ, მეორე მხრივ კი, დუმილი, უმოქმედობა, საბოლოოდ, გაქრობა ამჯობინა გადაფასების პროცესში მონაწილეობას, მტკივნეულ გარდასახვასა და თვითრეგენერაციას.

განხილულმა ტექსტებმა კარგად აჩვენა, რომ ორივე მწერალი მონაწილეობს საბჭოთა ეპოქის დეკონსტრუქციის პროცესში, განსხვავებული მხატვრული ხერხებით ქმნის სააზროვნო სივრცეს, რომ მკითხველმა სიღრმისეულად წარმოიდგინოს საბჭოთა ყოფის პერიპეტიები, პიროვნებათა ბედი ტოტალიტარულ, ძალადობაზე აგებულ საზოგადოებაში და ამ საზოგადოების გარდაუვალი ნგრევის შედეგად წარმოქმნილი კიდეც უფრო მძიმე რეალობის მართებულად აღქმა და რეფლექსირება შეძლოს, რასაც ლოგიკურად უნდა მოჰყვეს მოქმედების

აუცილებლობის გააზრებაც. ზოგადად, თანამედროვე ქართულმა ლიტერატურამ მრავალფეროვანი პლასტებით შეინახა ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ისტორიული ეტაპი თავისი სატკივრით, ადამიანთა ტრაგიკული ყოფით, ნიველირების პოსტმოდერნისტული განცდით და ამ ყველაფრის მიმართ არანაკლებ მნიშვნელოვანი მგრძნობელობით, რაც, ნეგატიური ხასიათის მიუხედავად, ადრე თუ გვიან მაინც უნდა გამხდარიყო განსხვავებული პათოსისა და აქტივობისათვის ბიძგის მიმცემი.

გამოყენებული ლიტერატურა

ტურაშვილი 2011: ტურაშვილი დ., გურჯი ხათუნი და თერთმეტი მოთხრობა. თბილისი, 2011.

ქართველიშვილი 2007: ქართველიშვილი გ., ბაგრატიონის ქალი, მოთხრობები. თბილისი, 2007.

ქართველიშვილი 2011: ქართველიშვილი გ., ბაგრატიონის ქალი, მოთხრობები. თბილისი, 2011.

წიფურია 2008: ქართული ტექსტი საბჭოთა/პოსტსაბჭოთა/პოსტმოდერნულ კონტექსტში. თბილისი, 2016.